# კომუნისტებო და კომკავშირელებო! იყავით სსრ კავშირში კომუნიზმის აშენებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ავანგარდში!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1963 წლის საპირველმაისო მოწოდებებიდან.


10 აპრილი

ოთხშაბათი, 1963 წ.
№ 71 (2176)
გამოცემის მე-19 წელი.
ფასი 2 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов


## საზღვარგარეთ

### უნგრეთი

ბუდაპეშტში გაიმართა ძიუ-დოისტთა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდნენ ავსტრიის, უნგრეთის, იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები. ტურნირში გამოდიოდა სამი საბჭოთა მოჭიდავე ა. ბოგოლიუბოვი (მსუბუქი წონა), ა. ბონდარენკო (საშუალო წონა) და ა. კიკნაძე (მძიმე წონა).

წარუმატებლად აილო სტარტი ა. ბოგოლიუბოვმა. მან დამარცხება განიცადა უნგრეთის ჩემპიონთან გალამბოშთან. მაგრამ შემდგომში მოიგო შეხვედრები დ პირველი ადგილი დაიკავა.

წარმატებით გამოვიდა შეჯიბრებაში ა. კიკნაძე, რომელმაც მოიგო ყველა ბრძოლა და მოიპოვა პირველი ადგილი. ბონდარენკო ტურნირში მესამე ადგილზე გამოვიდა.

### შვეცია

გეტებორგში (შვეცია) გასულ კვირას შედგა საბჭოთა კავშირისა და შვეციის ცხენოსანთა შეჯიბრება. გათამაშდა ორი პრიზი 2100 და 2700-მეტრიან დისტანციებზე. დიდი წარმატებით გამოვიდა მოსკოვის იპოდრომის მხედარი ნ. კალალა. პირველი პრიზი მან მოიგო ცხენ „გარემზე", ხოლო მეორე — „ლუკავიზე".

2700-მეტრიან დისტანციაზე მეორე იყო საბჭოთა მხედარი პ. ლიტკინი (ცხენი „აპილი").

## დ. ვერეშის მსოფლიო რეკორდი

ჯერ კიდევ 6 აპრილამდე მსოფლიო, რეკორდი აკვრაში საშუალო წონის ძალოსნებისათვის უდრიდა 180,5 კილოგრამს და ეკუთვნოდა დ. ვერეშს. გასულ შაბათს კი შესანიშნავმა უნგრელმა სპორტსმენმა თავისი რეკორდი გააუმჯობესა და იგი აიყვანა 182,5 კილოგრამამდე. ერთი დღეღამის შემდეგ კი ვერეშმა კვლავ „სძლია თავის თავს" და 184-კილოგრამიანი შტანგა სუფთად აჰკრა.

## თასი მოიპოვა „დუკლამ"

პარიზში შედგა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალი ხელბურთში ვაჟთა გუნდებს შორის. ერთმანეთს ხვდებოდნენ „დუკლა" (პრაღა) — „დინამო" (ბუქარესტი). ჩეხებმა პირველი ტაიმი საკმაოდ დიდი სხვაობით წააგეს 5:10, მაგრამ „დუკლამ" მეორე ტაიმში გარდატეხა მოახდინა და საბოლოოდ მოიგო მატჩი ანგარიშით 15:13. ამგვარად, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი მოიპოვა პრაღის „დუკლამ". ქალთა გუნდებს შორის ასეთივე გათამაშების ფინალი მოეწყობა პრაღაში 15 აპრილს, სადაც ერთმანეთის პირისპირ დადგებიან საბჭოთა და დანიელი სპორტსმენები.









## ჯერ კიდევ თოვლზე

ამასწინათ ტურიზმის აფხაზეთის საბჭომ მოაწყო სათხილამურო ტურისტული ლაშქრობა მარშრუტით რიწა - ავადხარა - მზი - აცეტუკი და უკან. ლაშქრობაში მონაწილეობა მიიღო გუდაუთის, სოხუმისა და ზუგდიდის 12-მა საუკეთესო სპორტსმენმა. ჯგუფმა, რომელსაც სოხუმის ტურბაზის უფროსი ინსტრუქტორი რ. ლაბახუა ხელმძღვანელობდა, სტარტი აილო რიწის ტბასთან და გაემართა ავადხარასაკენ, მოლაშქრეებმა გზადაგზა დაძლიეს რთული სიძნელეები. ადგილ-ადგილ მათ გავლა უხდებოდათ 5 მეტრამდე სიმაღლის თოვლში და ზვავსაშიშ ადგილებში. ლაშქრობის მიზანი იყო აცეტუკის მიდამოების შესწავლა—არის თუ არა აქ სათხილამურო სპორტის განვითარების პირობები.

ლაშქრობა წარმატებით დამთავრდა. ტურისტებმა გულდასმით შეისწავლეს აცეტუკის მიდამოები, რომელიც რიწის ტბიდან რამდენიმე კილომეტრითაა დაშორებული და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ აქ შეიძლება ყველა პირობა შეიქმნას სათხილამურო ბაზების მოსაწყობად.

სურათებზე: ზევით მარცხნივ თქვენ ხედავთ რიწის ტბის მიდამოებს—ლაშქრობის საწყის პუნქტს. მეორე სურათზე აღბეჭდილია ლაშქრობის ხელმძღვანელი რ. ლაბახუა (მარცხნივ) და ბ. ზაურუმოვი, როცა ისინი გასვლის წინ ათვალიერებენ მომავალ გზას. ლაშქრობა დაიწყო. სპორტსმენებს დროდადრო თხილამურებით მხრებზე (სურათი ქვევით მარცხნივ) უხდებოდათ გზის რთული მონაკვეთების დაძლევა. შედარებით იოლ ადგილებში კი ტურისტები საქმეს იიოლებდნენ — თხილამურებს იყენებდნენ (სურათი მარჯვნივ).

ფოტო და ტექსტი
ვ. სემიონოვისა.

## მოფარიკავეთა სამატჩო შეხვედრა

ამ დღეებში თბილისში გაიმართა ტრადიციული ამხანაგური შეხვედრა ფარიკაობაში საქართველოსა და აზერბაიჯანის სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" ნაკრებ გუნდებს შორის.

შეჯიბრება რაპირისტთა ბრძოლით დაიწყო. ქართველმა სპორტსმენებმა მაღალ დონეზე ჩაატარეს ბრძოლა და დაამარცხეს მეტოქეები ანგარიშით 5:2.

პირად შეჯიბრებაში რაპირისტ ვაჟთა შორის თავი ისახელა აზერბაიჯანის წარმომადგენელმა ლიტვინოვმა. ჭაბუკთა შორის კვლავ გვასახელეს ჩვენმა სპორტსმენებმა. რაპირით შეჯიბრებაში მათ დიდი ანგარიშით მოუგეს აზერბაიჯანის ჭაბუკ სპორტსმენებს — 5:1.

ქალთა შორის სამი წყვილის გამოსვლის შემდეგ დაწინაურდნენ სტუმრები. მათ ბოლომდე შეინარჩუნეს უპირატესობა და ჩვენმა სპორტსმენებმა განიცადეს დამარცხება — 3:5.

მეტად საინტერესოდ მიმდინარეობდა ფარიკაობა რაპირისტ გოგონათა შორის. ჩვენმა გოგონებმა „მშრალი" ანგარიშით მოუგეს აზერბაიჯანელებს — 5:0. პირად ჩათვლაში გამარჯვებული გამოვიდა ნ. ერისთავი. ასეთივე ანგარიშით მოიგეს დაშნით ბრძოლა ჩვენმა ვაჟებმა, ჭაბუკებმა ანგარიშით 5:1 დაამარცხეს სტუმრები.

ესპადრონით შეჯიბრება კვლავ ჩვენი ვაჟთა და ჭაბუკთა გუნდების უპირატესობით აღინიშნა, რომლებმაც შეხვედრები მოიგეს შესაბამისად 5:4 და 5:3.

ზ. ნოდია

## უკანასკნელ საათს!

### მ. ბოტვინიკი — ტ. პეტროსიანი

გუშინ ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე ბოტვინიკ-პეტროსიანის მატჩის გადადებული მე-8 პარტიის დამთავრებისას პეტროსიანის წინადადებით 55-ე სვლაზე პარტია ყაიმით დამთავრდა. ამრიგად, მატჩის ანგარიშია 4,5:3,5 პეტროსიანის სასარგებლოდ.

## მხოლოდ სამი კანდიდატი

გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზზე მოცურავეთა შეჯიბრების დაწყებამდე ყველა სპორტსმენისათვის იყო ცნობილი ოლიმპიურ ნაკრებში მოსახვედრი საკანდიდატო ნორმატივები, რომელიც ამას წინათ მიიღო ჩვენი ქვეყნის სპორტკავშირმა. ნორმატივები საკმაოდ მაღალია, მაგრამ საუკეთესო მოცურავენი პირველივე სტარტიდან ცდილობდნენ გადაელახათ ეს ზღვრები და ტოკიოში წასვლის უფლება მოეპოვებიათ. ამოცანის გადაწყვეტა მხოლოდ სამმა სპორტსმენმა შეძლო. ესენია ქალთა შორის 100 მ ბრასით ცურვაში ჩვენი ქვეყნის ახალი რეკორდსმენი გ. პროზუმენშჩიკოვა, რომელმაც ფინალში აჩვენა 1. 20, 1. გოგონებისათვის 17 წლამდე საკანდიდატო ნორმატივია 1.23,0.

ვაჟთა შორის ტოკიოში წასვლაზე განაცხადი გააკეთეს 200 მ ბატერფლაით ცურვაში გამარჯვებულმა ვ. კუზმინმა — 2. 17,5 და ამავე მანძილზე ბრასით უძლიერესმა ნ. კარეტნიკოვმა — 2.34,3. მათი მაჩვენებლები 0,5 და 1,7-ით აღემატება საწყის ნორმატივს.

ყველა სხვა მონაწილე ამაოდ დაშვრა. ასე მაგალითად, 100 მ თავისუფალი სტილით ქალთა შორის უძლიერეს ნ. უსტინოვას მაჩვენებელი 1.06,2 საკანდიდატო ნორმატივს ჩამორჩება 2,2-ით. ვაჟთა შორის ამავე სტილით გამარჯვებული ო. სუმცოვის მაჩვენებელი — 57,3 კი 0,8-ით. ზუსტად ამდენივე არ ეყო ბრასით 100 მეტრზე ვაჟთა შორის გამარჯვებულ ლ. კოლესნიკოვსაც — 1.12,8 და 1,9 დააკლდა 100 მ ზურგზე ცურვაში პირველ ადგილზე გამოსულ კ. სიიმარს.

## ორი ნახევარფინალური მატჩი

მოსკოვსა და ვარშავაში შედგა ორი ნახევარფინალური მატჩი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე ფრენბურთში ვაჟთა გუნდებს შორის.

მოსკოვში ცსკა-მ დაამარცხა ბულგარეთის ცდნა — 3:0 (15:11, 15:13, 15:7). განმეორებითი მატჩი შედგება 23 აპრილს სოფიაში.

მეორე ნახევარფინალურ მატჩში, რომელიც ვარშავაში შედგა ერთმანეთს შეხვდნენ ბუქარესტის „რაპიდი" და პოლონეთის ჩემპიონი „ლეგია". დაძაბული ბრძოლა, რომელიც ორნახევარ საათს გაგრძელდა დამთავრდა რუმინელთა გამარჯვებით — 3:2 (14:16, 15:7, 10:15, 15:11, 15:10).

# კანდიდატთა შესარჩევად

მიმდინარე წლის მთავარი სპორტული ღონისძიება ხალხთა III სპარტაკიადაა. ეს ღონისძიება ამავე დროს იქნება გამოცდა მათთვის, ვისაც სურს მოხვდეს ჩვენი ქვეყნის იმ ნაკრებში, რომელიც მომავალ წელს გამარჯვებისათვის იბრძოლებს ტოკიოს ოლიმპიადაზე.

საბჭოთა კავშირის ოლიმპიურმა კომიტეტმა შეიმუშავა ნაკრების კანდიდატთა შესარჩევი ნორმატივები. ნაკრებში მოხვედრისათვის მძლეოსნებმა ვაჟთა შორის 100 მეტრზე რბენაში წლის განმავლობაში ორჯერ უნდა აჩვენონ ოსტატის შედეგი — 10,4; 200 მეტრზე რბენაში — 21,2; 400 მეტრზე რბენაში — 47,6 და ა. შ. 5.000 და 10.000 მეტრზე რბენებში, აგრეთვე 3.000 მეტრზე წინაღობებით, ათჭიდში, 20 და 50 კილომეტრზე სპორტულ სიარულში საკმარისია თუნდაც თითოჯერ აჩვენონ ნორმატივით დადგენილი მაჩვენებლები 14.05,0 (5.000 მეტრზე), 29.40,0 (10.000 მეტრზე), 8.50,0 (წინაღობები), 7.000 ქულა (ათჭიდი), 1:30,0 და 4:15,0 სპორტულ სიარულში 20 და 50 კილომეტრზე.

ქალთა შორის 100 მეტრზე მორბენალი რომ მოხვდეს ოლიმპიურ ნაკრებში, აღნიშნული მანძილი სამჯერ უნდა გაირბინოს 11,6-ში, 200 და 400 მეტრზე ორ-ორჯერ უნდა იქნას ნაჩვენები შესაბამისი შედეგები — 24,3 და 55,5. მხოლოდ თითო შედეგია საკმარისი 800 მეტრზე რბენაში—2.08,0 და ხუთჭიდში — 4.500 ქულა. დანარჩენ სახეობებში აუცილებელია სანორმატივო მოთხოვნების სამ-სამჯერ ჩვენება.

ტყვიით მსროლელთა ნაკრებში მოხვედრისათვის მცირეკალიბრიანი შაშხანიდან წოლელა 50 მეტრზე მსროლელებმა უნდა მოაგროვონ 592 ქულა, სამი მდგომარეობის ჯამში — 1145 ქულა. საბრძოლო ნებისმიერი შაშხანიდან 300 მეტრზე მსროლელებმა სამი მდგომარეობით სროლის ჯამში უნდა აჩვენონ 1140 ქულა, მცირეკალიბრიანი პისტოლეტიდან 50 მეტრზე მსროლელებმა 60 გასროლით უნდა მოაგროვონ არანაკლები 555 ქულისა, ხოლო სილუეტებზე მსროლელებმა — 588 ქულა.

რაც შეეხება მესტენდურეებს, მათთვის დაწესებულია შემდეგი ნორმატივები. ადგილიდან სროლაში 200 სამიზნის მიღებისას უნდა დაამსხვრიონ 193, ხოლო 300 სამიზნის მიღების შემთხვევაში 290 სამიზნე.

საკმაოდ მაღალია ნორმატივები ცურვაშიც. ოლიმპიურ ნაკრებში მოხვედრისათვის 100 მეტრი თავისუფალი სტილი ქალებმა უნდა გაცურონ 1.04,0-ში, ვაჟებმა — 56,5-ში, 200 მეტრზე ვაჟებმა უნდა აჩვენონ 2.06,0. 400 მეტრზე ქალებისათვის დაწესებულია 5 წუთი, ვაჟებისათვის — 4.28,0. 1.500 მეტრზე ვაჟებისათვის საწყისი ნორმატივია 18 წუთი. რაც შეეხება ბრასს, აქ ქალებმა 100 მეტრზე უნდა აჩვენონ 1.20,0, ხოლო 200 მეტრზე — 2.53,0, ვაჟებისათვის შესაბამისად საჭიროა 1.12,0 და 2.36,0-ის ჩვენება. ზურგზე ცურვაში 100 მეტრზე ქალთათვის საწყისი ნორმატივია 1.12,0, ვაჟებისათვის — 1.02,5; 200 მეტრზე ვაჟებისათვის დაწესებულია — 2.18,0. ასეთივე შედეგი უნდა აჩვენონ ვაჟებმა 200 მ ბატერფლაით ცურვაშიც. რაც შეეხება 100 მეტრს, აქ საწყისი ნორმატივები უდრის 1.12,0 (ქალებისათვის) და 1.01,0 (ვაჟებისათვის), და ბოლოს, 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში ქალებისათვის დაწესებულია 5.45,0, ვაჟებისათვის — 5.05,0. ამასთან ყველა ეს შედეგი ნაჩვენები უნდა იქნას 50-მეტრიან აუზში.

აი, როგორია საკანდიდატო ნორმატივები ძალოსნობაში. მჩატე წონა — 337,5, ქვემსუბუქი — 360, მსუბუქი — 395, ქვესაშუალო — 420, საშუალო — 450, ქვემძიმე — 460 და მძიმე — 485 კგ.

ტანმოვარჯიშე ვაჟებმა უნდა მოაგროვონ მრავალჭიდში 112 ქულა, ხოლო ქალებმა — 74 ქულა და სხვ.

ნორმატივები შემოღებულია ყველა 19 სახეობისათვის და მთელ რიგ სახეობებში იგი ორ ჯგუფადაა დაყოფილი. ქალთა და მამაკაცთა ჯგუფებს ქმნიან ძირითადად 21 წლის ასაკზე უფროსები, დანარჩენები მიეკუთვნებიან ჭაბუკთა და გოგონათა ჯგუფებს. გამონაკლისს შეადგენს ტანვარჯიში, ცურვა, წყალში ხტომა, სადაც, მაგალითად, ტანვარჯიშში ქალთა დაყოფა ხდება 18 წლის ასაკიდან, ვაჟებისა — 20 წლიდან, ცურვასა და წყალში ხტომაში კი 17 წლის ასაკიდან.

# მედიცინის მუშაკთა შორის

თბილისის სპორტულ ბაზებზე ჩატარდა მედმუშაკთა პროფკავშირის 1-ლი რესპუბლიკური სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობდა თელავის, ქუთაისის, ზესტაფონის, ფოთის, წყალტუბოს, მახარაძის, ხაშურის და თბილისის 26 კომისრის, ოქტომბრის, ორჯონიკიძის და 1-ლი მაისის რაიონული კომიტეტების ნაკრები გუნდები 165 სპორტსმენით. პროგრამაში იყო სპორტის ოთხი სახეობა: ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი, ტყვიით სროლა და მძლეოსნობა.

შეჯიბრებები მაგიდის ჩოგბურთში და ჭადრაკში ჩატარდა წრიული სისტემით. ჭადრაკში 1-ლი ადგილი დაიკავა თბილისის ოქტომბრის სახ. რაიონის გუნდმა, II — ქუთაისის, ხოლო III — 26 კომისრის სახ. რაიონმა. მაგიდის ჩოგბურთში გამარჯვებული გამოვიდნენ თელაველი სპორტსმენები. მომდევნო ადგილები დაიკავეს ქუთაისისა და ორჯონიკიძის სახ. რაიონის გუნდებმა.

ტყვიით სროლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 26 კომისრის სახ. რაიონი, ქუთაისი და მახარაძე.

პირად შეჯიბრებებში ვაჟთა შორის გაიმარჯვა პ. შჩეეევმა (26 კომისრის რაიონი), ხოლო ქალთა შორის — ვ. პროცენკომ.

მძლეოსნობაში 1-ლი ადგილი დაიკავა ფოთის გუნდმა, II ადგილი — 26 კომისრის რაიონის გუნდმა, ხოლო III — ქუთაისელებმა.

სპარტაკიადაზე კომპლექსური შედეგების მიხედვით საერთო პირველი ადგილი 9 საჯარიმო ქულით დაიკავა ქუთაისის მედმუშაკთა პროფკავშირის საქალაქო კომიტეტის ნაკრებმა გუნდმა. მას გადაეცა გარდამავალი თასი და სიგელები. II ადგილი 13 ქულით დაიკავა თბილისის 26 კომისრის რაიონული კომიტეტის ნაკრებმა. III ადგილზე გამოვიდა აგრეთვე თბილისის ოქტომბრის სახ. რაიონული კომიტეტის ნაკრები გუნდი.

**გ. გოდერძიშვილი,**
**სპარტაკიადის მთავარი მსაჯი,**
**რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი,**
**გ. გოლაშვილი.**

# წარმატებები და ხარვეზები

★

**საქართველოს სპორტკავშირის XIII პლენუმი**

★

კომპლექსური ღონისძიებანი, განსაკუთრებით სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადები საგრძნობლად უწყობენ ხელს ჩვენი სპორტსმენების სასახელო ოსტატობის დონის ზრდას, მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის აღმავლობას, ბაზების კეთილმოწყობას. ხალხთა I სპარტაკიადამდე ჩვენს რესპუბლიკაში 397 ათასამდე ფიზკულტურელი იყო, II სპარტაკიადისათვის ამ რიცხვმა უკვე ნახევარ მილიონს გადააჭარბა, ხოლო კიდევ 4 წლის შემდეგ ფიზკულტურელთა რიცხვმა 714 ათასს გადაამეტა. ცხადია, ფიზკულტურელთა ასეთ არმიაში ამაღლდა სპორტული მაჩვენებლებიც. თუ ჩვენს რესპუბლიკაში I სპარტაკიადამდე მთელს პერიოდში მომზადებულ იქნა 202 ოსტატი, ახლა, ხალხთა III სპარტაკიადის წინ, ჩვენს რესპუბლიკაში 1324 ოსტატია.

რა თქმა უნდა, შესაბამისად გაიზარდა მონაცემები ყველა მაჩვენებლების მიხედვით, რამაც რესპუბლიკის სპორტკავშირს საშუალება მისცა კიდევ ერთხელ მოეპოვებინა საკავშირო სპორტკავშირის გარდამავალი წითელი დროშა. საქართველოს ორგანიზაციებმა განსაკუთრებით ნაყოფიერად იმუშავეს სპარტაკიადის მზადების პერიოდში, ბევრი რამ გაკეთდა სპორტსმენთა დიდ ფორუმზე ადრე მოპოვებული V ადგილის შენარჩუნებისა და შემდგომი წინსვლისათვის, მაგრამ ზოგიერთ ხარვეზს ჯერ კიდევ აქვს ადგილი და სწორედ მათ მხილებას, მათი დაძლევის გზების დასახვას დაეთმო საქართველოს სპორტკავშირის XIII პლენუმი, რომელმაც მოისმინა საქართველოს სპორტკავშირის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის ვ. სამსონაძის მოხსენება, რომელმაც შეკრებილთ მოუთხრო რესპუბლიკური და საკავშირო სპარტაკიადებისათვის საქართველოს სპორტსმენთა მზადების შესახებ, ნაკრები გუნდების პერსპექტივებზე, წარმატებებსა და ხარვეზებზე, მათ გამომწვევ მიზეზებზე. მან აღნიშნა, რომ საქართველოს სპორტული ორგანიზაციების მიერ გასული წლის ყველა მაჩვენებლები ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულდა, მაგრამ ეს სრულებითაც არ გვაძლევს თვითდამშვიდების უფლებას, ვინაიდან უკვე II სპარტაკიადაზე ნათელი იყო, რომ რესპუბლიკაში ვერ შევძელით ყველა სახეობაში სრულფასოვანი გუნდების დაკომპლექტება. დაბალი მაჩვენებლები ჰქონდათ მძლეოსნებს, ნიჩბოსნებს, ცხენოსნებს, მოჭიდავეებს, მესტენდურეებს.

სპორტკავშირმა დროულად მოახდინა შემოწმება თუ როგორ ემზადებიან ადგილებზე ამ დიდი კომპლექსური ღონისძიებისათვის და გამოირკვა, რომ ყველგან საქმე სათანადო დონეზე არ დგას, საინტერესოა, მაგალითად, როგორ აპირებენ რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე გამოსვლას ფოთის კოლექტივები, როცა თავისუფალ ჭიდაობაში, ფრენბურთში, ხუთჭიდში, ძალოსნობაში, საწყლოსნო სახეობებში მათ გასულ წელს ერთხელაც არ მიუღიათ მონაწილეობა რესპუბლიკურ ღონისძიებებში. ჭიათურელმა სპორტსმენებმა გასულ წელს 18-ის ნაცვლად მხოლოდ 2 რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მიიღეს მონაწილეობა და აქაც V და VII ადგილები დაიკავეს. თითქმის იგივე ითქმის სამხრეთ ოსეთისა და გორის ორგანიზაციებზეც. ნაცვლად იმისა, რომ ყველა სახეობაში ცდილობდნენ მონაწილეთა გამოყვანას, აქ ცდილობენ გუნდები გამოიყვანონ საიმედო სახეობებში, რითაც ხელს უშლიან სხვა სახეობათა განვითარებას. ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს რესპუბლიკური აფხაზეთის ორგანიზაციების სამზადისი. მართალია, აქ დროულად შეიქმნა ადგილობრივი სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტი, მაგრამ 5 თვის განმავლობაში მხოლოდ ერთი სხდომის ჩატარებით დაკმაყოფილდნენ. მოუვლელია ერთადერთი სტადიონი სოხუმში, არაა დაკომპლექტებული ქართულ მოჭიდავეთა გუნდი, გამოუყენებელია აუზი, „განთიადის" მოედნები, პედინსტიტუტის დარბაზი. აფხაზეთში ორი ინსტიტუტია, სადაც ახალგაზრდობის საკმაო ძალაა თავმოყრილი, მაგრამ აქედან არც ერთი სპორტსმენი არ შედის ნაკრებში. ერთადერთია მესტენდურე კ. დარასელია, რომელიც პედინსტიტუტის ლაბორანტად მუშაობს.

ყველაფერი სათანადო დონეზე არც აჭარაშია. აქ არ ზრუნავენ საცხენოსნო სპორტის განვითარებისათვის და არც გუნდის გამოყვანას აპირებენ რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე. დაუკომპლექტებელია გუნდი ხუთჭიდშიც. დაბალ დონეზე მიმდინარეობს მოფარიკავეთა ვარჯიშები, სუსტად ემზადებიან ტანმოვარჯიშენი. აჭარაში ნაკლებად ზრუნავდნენ სპორტული ბაზების მოწყობისთვისაც. სპარტაკიადა კარზეა მომდგარი და წლების განმავლობაში საშველი არ დაადგა ბათუმის საცურაო აუზის მშენებლობის დამთავრებას.

მომხსენებელმა თავის გამოსვლაში ფართო ადგილი დაუთმო ნაკრები გუნდების საქმიანობას. განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება მძლეოსნობის, კალათბურთის, ფრენბურთის, წყალში ხტომის, ნიჩბოსნობის და სხვა სექციების საქმიანობაზე მძლეოსნობაში წლიდან წლამდე გრძელდება ჩამორჩენა მაღალი თანრიგის სპორტსმენთა მომზადებაში საშუალო და გრძელ დისტანციებზე, სპორტულ სიარულში, მწვრთნელთა ნაწილი ვერ ასრულებს მათზე მიცემულ გეგმებს ოსტატების აღზრდის საქმეში. რესპუბლიკაში ძალზე ნელი ტემპით იზრდება კალათბურთის რეზერვი, რაიონებს ხშირად შეჯიბრებებზე გამოყავთ აშკარად მოუმზადებელი გუნდები. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს სამტრედიისა და აბაშის გუნდების შეხვედრის ანგარიში — 51:4, ან ხაშურისა და დმანისის გუნდების მატჩის შედეგი — 22:9.

პლენუმზე თანამოხსენებით გამოვიდნენ აფხაზეთის სპორტკავშირის თავმჯდომარე რ. ხიკუბა, აჭარის სპორტკავშირის თავმჯდომარე შ. მეავანაძე, სამხრეთ ოსეთის სპორტკავშირის თავმჯდომარე ქ. კოჩიევი, თბილისის სპორტკავშირის თავმჯდომარის მოადგილე მ. ბერიევი, ქუთაისისა და ფოთის სპორტკავშირის საბჭოების თავმჯდომარეები ა. ჩოგოვაძე და ო. კემულარია, თბილისის ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს ფიზკულტურული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. სამადაშვილი, მაგიდის ჩოგბურთის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარე ი. კვანჭახაძე, საექიმო დისპანსერის მთავარი ექიმი ზ. თელია, განათლების სამინისტროს მეთოდკაბინეტის გამგე გ. მერკვილაძე.

რ. ხიკუბამ, შ. მეავანაძემ, ქ. კოჩიევმა, მ. ბერიევმა, ა. ჩოგოვაძემ და ო. კემულარიამ აღნიშნეს ადგილებზე ჩატარებულ ღონისძიებანი, მათი შედეგები, დაასახელეს ის სახეობანი, რომლებშიც ვერ შეძლებენ გუნდების გამოყვანას და რა მიზეზით. მაგრამ ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში მიზეზები არ არსებობენ, რადგან საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებისათვის ყველა სახეობას ერთნაირი მნიშვნელობა ენიჭება და გაიმარჯვებს ის, ვინც სპარტაკიადის ყველა სახეობაში უკეთ მომზადებულ გუნდებს გამოიყვანს.

გ. სამადაშვილმა პლენუმს მოუთხრო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს სპარტაკიადისათვის სამზადისის შესახებ. აქაური ფიზკულტურელები სპორტულ ტანვარჯიშსა და მძლეოსნობაში ვარაუდობენ საკავშირო სპარტაკიადაზე წასვლის უფლების მოპოვებას და ხარვეზების დასაძლევად მაქსიმალურად გამოიყენებენ დარჩენილ დროს. ი. კვანჭახაძემ ილაპარაკა მაგიდის ჩოგბურთის ნაკრები გუნდის საქმიანობაზე და პერიფერიებში ზოგიერთი მწვრთნელის იმ თვითნებობაზე, რაშიც რესპუბლიკის საერთო ინტერესების უგულებელყოფა გამოიხატება. ხოლო გ. მერკვილაძემ დამსწრეთ მოუთხრო საკავშირო სპარტაკიადისათვის მოსწავლეთა გუნდების სამზადისის შესახებ.

პლენუმზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სპორტკავშირის თავმჯდომარემ გ. სიხარულიძემ, რის შემდეგ პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილება.





ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში, სხვადასხვა ქალაქებში სპორტსმენთა გაცხოველებული მზადება მიმდინარეობს მომავალი პასუხსაგები შეჯიბრებებისათვის.

**სურათებზე:** მარცხნივ — რუსთავის მოფარიკავეთა მეცადინეობას ხელმძღვანელობს მწვრთნელი ბ. არუთინოვი; მარჯვნივ — ბათუმის მე-20 საშუალო სკოლის ტანმოვარჯიშეები, რომლებმაც გაიმარჯვეს ქალაქის მოსწავლეთა სპარტაკიადაზე.

ფოტო რ. გაბრიჭიძისა და პ. კებაბჩიანისა.

# სპარტაკიადისა და ოლიმპიური პროგრამით



ოთხი რესპუბლიკის ტანმოვარჯიშეთა პირად-გუნდური შეჯიბრების მეორე დღეს გამოდიოდნენ ქალთა ნაკრები გუნდები. თავიდანვე უნდა შევნიშნოთ, რომ მეორე დღის ასპარეზობა გაცილებით უფრო საინტერესო აღმოჩნდა სანახაობრივადაც და მონაწილეთა ოსტატობის, მათ მიერ ახალი ვარჯიშების დაუფლების თვალსაზრისითაც. ეს კანონზომიერიც იყო, ვინაიდან ქალთა ოლიმპიური პროგრამა გაცილებით უფრო ადრე იყო მიღებული და დამტკიცებული. ამდენად სპორტსმენებმაც ამ შეჯიბრებისათვის უფრო საფუძვლიანი მომზადება მოასწრეს.

პირველი გამოსვლა, ბუნებრივია, გუნდებს სხვადასხვა იარაღზე მოუხდათ. აზერბაიჯანელი ოსტატი ქალები ასრულებდნენ თავისუფალ ვარჯიშს, სადაც მათი შედეგი გამოიხატა 62 ქულით. ლატვიელებმა ორძელზე შეძლეს მხოლოდ 59,8 ქულის მოპოვება, სომხეთის გუნდმა ხტომებში — 54,9, ხოლო საქართველოს პირველმა გუნდმა დვირზე — 61,55 ქულისა.

ლიდერობა ჩვენმა გუნდმა აზერბაიჯანელ სპორტსმენებს ჩამოართვა მეორე იარაღიდანვე, როცა მან თავისუფალ ვარჯიშში დააგროვა 64,7 ქულა და ორი სახეობის შემდეგ 126,25 ქულით სათავეში ჩაუდგა შეჯიბრებას. აზერბაიჯანელებმა ხტომებში მიიღეს მხოლოდ 59,5 ქულა და გადაინაცვლეს მეორე ადგილზე 121,5 ქულით. ამ უკანასკნელებს მჭიდროდ მიუახლოვდა ლატვიელთა კოლექტივი, რომელმაც ორძელზე და დვირზე ვარჯიშების შემდეგ 120,7 ქულა დააგროვა.

ძირითადად სწორედ ამ სამ გუნდს შორის წარიმართა ბრძოლა გამარჯვებისათვის.

მესამე იარაღის შემდეგ საქართველოს პირველმა კოლექტივმა კიდევ უფრო განამტკიცა ლიდერის პოზიციები. ხტომებში ჩვენმა ოსტატებმა დააგროვეს 62,7 ქულა, ხოლო აზერბაიჯანელებმა ორძელზე — 60,15 ქულა. კარგად შეასრულეს ლატვიელებმა თავისუფალი ვარჯიში. აქ მოპოვებულმა 63,4 ქულამ საშუალება მისცა მათ გადაესწროთ აზერბაიჯანის გუნდისათვის და მეორე ადგილზე გასულიყვნენ.

როგორც ზემოაღნიშნულიდანაც ჩანს, მესამე იარაღის შემდეგ საქართველოს პირველი გუნდი პრაქტიკულად უკვე მიუღწეველი დარჩა მეტოქეთათვის, რამდენადაც უახლოეს კონკურენტს მან 4 ქულით გაუსწრო. ამდენად, შემდგომში ბრძოლის სიმწვავემ გადაინაცვლა მეორე ადგილისათვის პაექრობაში.

ასპარეზობის შემდგომმა მსვლელობამ ეს ვარაუდი პრაქტიკულადაც დაადასტურა. სავალდებულო ვარჯიშების მრავალჭიდში ქართველმა ოსტატებმა დააგროვეს 251,15 ქულა და დიდი განსხვავებით მოიგეს პირველი ადგილი.

სამაგიეროდ, უკანასკნელ იარაღამდე არ შეიძლებოდა იმის განსაზღვრა, თუ აზერბაიჯანელ და ლატვიელ სპორტსმენთა შორის ვინ გამოვიდოდა გამარჯვებული მეორე ადგილისათვის ბრძოლაში. მცირე უპირატესობა, რომლებიც ლატვიელებმა მოიპოვეს სამი იარაღის გავლის შემდეგ, მათ შემდგომ კიდევ უფრო განამტკიცეს და სავალდებულო ვარჯიშებში დაგროვებული 242,3 ქულით დამკვიდრდნენ მეორე ადგილზე. აზერბაიჯანის გუნდს აქვს 240,45 ქულა.

ამრიგად, როგორც ვაუთა, ისე ქალთა გუნდებმა დაამთავრეს ასპარეზობა სავალდებულო პროგრამაში. საერთო მაჩვენებლები რესპუბლიკათა ნაკრებ გუნდებს შორის ასეთია: I. საქართველოს I გუნდი — 604,4 ქულა, II — ლატვია — 569,1, III — აზერბაიჯანი — 552,15, IV — სომხეთი—549,75 და V — საქართველოს II გუნდი — 458,55.

საინტერესოდ მიმდინარეობდა ბრძოლები პირად ჩათვლაშიც, სადაც ასპარეზობას ფაქტიურად ტონი მისცეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა. თავდაპირველად უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ახალგაზრდა ოსტატმა — ა. ჯანუყაშვილმა პირველი იარაღიდანვე მტკიცედ იგდო ხელთ ლიდერობა და ბოლომდე არ დაუთმია იგი. მისი შეფასებანი თითქმის ყოველ იარაღზე ვარჯიშის მაღალ დონეზე შესრულების თვალსაჩინო დადასტურებაა (დვირი — 9,45, თავისუფალი ვარჯიში — 9,45, ხტომები — 9,5, ორძელი — 9,35). მრავალჭიდის ჯამში დაგროვებული 37,75 ქულა აშკარად მეტყველებს ახალგაზრდა ტანმოვარჯიშის კარგ სპორტულ ფორმაზე.

მეორე ადგილისათვის ბრძოლა მიმდინარეობდა მ. ნინოშვილს, ე. ბენიძესა და აზერბაიჯანელ ა. ენიკეევას შორის. ამ ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდა მ. ნინოშვილი — 36,3 ქულა. მას 0,2 ქულით ჩამორჩა ა. ენიკეევა.

გუშინ, გვიან ღამით, დამთავრდა ვაუთა ასპარეზობა ნებისმიერ ვარჯიშებში.

თ. სანებლიძე,
სპორტის ოსტატი,
შ. ჯულელი.

• • •



სურათებზე: ზევით — რგოლებზე ვარჯიშობს მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი ა. აზარიანი. ქვევით — სპორტის ოსტატი ი. კოვალიოვი (საქართველო) ორძელზე.
ფოტო ი. იუნაევისა.

## დუბლიორთა მატჩი

გუშინ თბილისის „ბურევესტნიკის" სტადიონზე შედგა თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის „ტორპედოს" დუბლშემადგენლობათა მატჩი, რომელიც დამთავრდა უშედეგოდ — 0:0.

## 4-დან 4 ქულა

8 აპრილს გადადებული პარტიების დამთავრებით ქალთა შორის საქართველოს 1963 წლის პირველობის მონაწილეებმა დაასრულეს ტურნირის პირველი ნახევარი.

განსაკუთრებით ნაყოფიერად „იმუშავა" ამ დღეს საერთაშორისო ოსტატმა ა. ჩაიკოვსკაიამ, რომელსაც ოთხი პარტია ჰქონდა დასამთავრებელი. ქ. გოგიავასთან და მ. ტერ-აბრამოვასთან მას უპირატესობა ჰქონდა და მეთოდური თამაშით გამარჯვებამდე მიიყვანა ორივე პარტია, ხოლო პარტიებში შეჯიბრების ლიდერ ს. ივანოვასთან და ა. შულმანთან, სადაც ეს უკანასკნელნი ყაიმის შანსებს ინარჩუნებდნენ, გაგრძელების არაზუსტი გეგმები აირჩიეს და დამარცხდნენ. ამრიგად, ზედიზედ ოთხი გამარჯვებით შეჯიბრებაში დაწინაურდა საერთაშორისო ოსტატი ა. ჩაიკოვსკაია, რომელსაც 8 ტურის შემდეგ 6,5 ქულა აქვს.

ლიდერთა ჯგუფში მტკიცედ „მოკალათდა" ნორჩი მოაჭდრაკე ნ. ალექსანდრია. მე-6 ტურში მან დაამარცხა ლ. კოროშინაძე, ხოლო გადადებული პარტიების დამთავრებისას სძლია თბილისის 1963 წლის ჩემპიონს ც. კახაბრიშვილსა და ს. შოროხოვას. ამჟამად ნ. ალექსანდრიას 6 ქულა აქვს. 6—6 ქულა აქვთ აგრეთვე ტურნირის სამ მონაწილეს — გ. ბუცხრიკიძეს, ც. კახაბრიშვილსა და ს. ივანოვას. ჩვეულ ბრძოლისუნარიანობას ვერ ავლენენ ქ. გოგიავა. ლ. ნაჭყებია და ლ. ხაჭაპურიძე, რომლებმაც უკვე „მოასწრეს" 2-2 დამარცხება და 2-2 ყაიმი თვითეულმა. ამჟამად ისინი თითო ქულით ჩამორჩებიან ახალგაზრდულ „კვარტეტს".

ტურნირის მონაწილენი გავიდნენ ფინიშის სწორზე.

ა. დავლიანიძე

• • •



სურათზე: ტურნირის მონაწილენი ნ. ალექსანდრია (მარცხნივ) და ლ. კოროშინაძე თავიანთ მასწავლებელ ვ. ქარსელაძესთან (შუაში), რომელიც ტურნირის დაწყებისას რჩევა-დარიგებებს აძლევს თავის აღსაზრდელებს.
ფოტო ი. იუნაევისა

# „საჩიფათო სპორტი"

გაზეთი „ბუნდესტურნცეიტუნგი" ითვლება ავსტრიის ტანვარჯიშის კავშირის ბეჭდვით ორგანოდ. ჩვენს წინაშეა აღნიშნული გაზეთის ერთ-ერთი ნომერი. თვალში გვხვდება ტანვარჯიშულ დარბაზში მომღიმარე ბავშვთა ფოტოსურათი. ფოტოსურათის ქვევით არის სათაური: „ახალგაზრდა სიცოცხლე შვედურ კედელზე". უფრო ქვევით სარეკლამო მოწოდებაა: „მშობლებო, გააგზავნეთ თქვენი ბავშვები ავსტრიის ტანვარჯიშის კავშირის გაერთიანებაში! ისინი იქ შეისწავლიან ბედნიერ და მხიარულ ცხოვრებას საზოგადოებაში და საზოგადოებისათვის!".

ერთი შეხედვით, ცუდი პერსპექტივა როდია! და უნდა გამოვტყდეთ, რომ მსგავს მოწოდებებს არც თუ ისე ნაკლები რაოდენობის მშობლები უთანაგრძნობენ. ტანვარჯიში ლამაზი და მიმზიდველი სახეობაა. რატომ არ უნდა გაიგზავნოს ბავშვები აღნიშნულ კავშირში? სჯობია ბავშვებმა იმეცადინონ სპორტში, ვიდრე უსაქმურად გაატარონ დრო ქუჩებში. მაგრამ ირკვევა, რომ ეს არც თუ ისე „კარგია" და „ხელსაყრელი".

აი, რას წერს ამის შესახებ ავსტრიული გაზეთი „ფოლკსშტიმე": „სიკვდილს კრივის რინგზე და აგრეთვე მოტო და ავტოდრომებზე ისევ და ისევ აღშფოთებაში მოჰყავს მთელი მსოფლიოს სპორტული საზოგადოებრიობა. და სპორტის სხვა სახეობებიც, სამწუხაროდ, კიდევ ითხოვენ მსხვერპლს — ბობსლეი, ციგებით ჩქაროსნული დაშვება და ა. შ. მაგრამ ყველაზე სახიფათო სპორტად ავსტრიაში უსიტყვოდ შეიძლება დავასახელოთ სპორტის უშესანიშნავესი სახეობა — ტანვარჯიში. თქვენ გაკვირვებული ხართ? შეიძლება ეს ხუმრობა იყოს? არავითარი ამის მსგავსი. რა თქმა უნდა, ტანვარჯიში თავისთავად სახიფათო როდია, მაგრამ სახიფათოა ტანვარჯიშის ორგანიზაცია, რომელიც წამლავს ავსტრიელ ახალგაზრდობას იმ იდეებით, რომლებიც მტრულადაა განწყობილი ქვეყნის ინტერესებისადმი".

გაზეთ „ფოლკსშტიმეს", როგორც საერთოდ ავსტრიის ყველა პატიოსან ადამიანს, აშინებს ის ფაქტი, რომ ქვეყანაში თანდათან აძლიერებენ თავიანთ მოღვაწეობას ადამიანები, რომლებიც სპორტით შენიღბულნი ეწევიან ნაცისტურ პროპაგანდას. საქმე ეხება პირველ რიგში ავსტრიის ტანვარჯიშის კავშირს, აღმოცენებულს ჰიტლერული სპორტის გაერთიანებათა ფესვებზე. აღნიშნული კავშირის მეცადინეობებზე სრულიად აშკარად ასხამენ ქებას ფაშიზმს და ფართო ადგილი აქვს დათმობილი ახალი ანშლუსის პროპაგანდას, რომლის მთავარ როლშიც გამოდის დასავლეთ გერმანია. „ბუნდესტურნცეიტუნგის" თებერვლის ნომერში შეიძლება წაიკითხოთ შემდეგი სიტყვები: „ტანვარჯიში და სამხედრო აზრები ყოველთვის ნათესაურ კავშირში იმყოფებოდნენ ერთმანეთისადმი და ზოგიერთი ძლიერი და მამაცი ოფიცერი იყო კარგი ტანმოვარჯიშე, ხოლო ზოგიერთი ტანმოვარჯიშე იყო და იქნება პროფესიონალი ოფიცერიც".

გამოვიდა წიგნი „ამხანაგებო ბოლომდე". ამ წიგნს აბსოლუტურად არავითარი კავშირი არა აქვს სპორტთან და ითვლება როგორც ნეონაცისტური ნათითხნი. „ბუნდესტურნცეიტუნგი" რეკლამას უკეთებს ამ საზიზღარ წიგნს: „საქმე ეხება იმ ქვეგანაყოფს, რომელიც განლაგებული იყო ავსტრიაში. ბრძოლებში, სადაც სანუკვარი დიდება იქნა მიღწეული, მიზანშეწონილად ჩათვალეს მიეღო მონაწილეობა ათასობით ჩვენს თანამემამულეს. მიმზიდველი, ამაღელვებელი წიგნია, ერთ-ერთი უშესანიშნავესი დადასტურებაა გერმანია-ავსტრიის სამხედრო თანამშრომლობისა, რომელმაც გადაიტანა დიდი ომი და მისი ნათელი ხსოვნა შემოინახა დღევანდელ დღემდე".

და ასეთ ნაცისტურ ბოდვებს აქვეყნებს ავსტრიული სპორტული გაზეთი 1963 წელს! ზუსტად 25 წლის შემდეგ, რაც ავსტრია დაიპყრო და თავის ბრჭყალებში მოიქცია ჰიტლერულმა გერმანიამ.

ისტორიას არასდროს დაავიწყდება, რომ მრავალი ავსტრიელი სპორტსმენი — თავისი ქვეყნის საუკეთესო შვილები გაბედულად იბრძოდნენ ჰიტლერიზმის მძიმე ბატონობის წინააღმდეგ. საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი მ. სინდელარი. „გერმანიის ნაკრებისა" და „ოსტმარკის პროვინციის" გუნდების შეხვედრის დროს მან გადაჭრით თქვა უარი შეესრულებინა ჰიტლერული მისალმება, რისთვისაც გადაიტანა უმძიმესი სასჯელი. სახელდობრ სწორედ ამ მამაცური ბრძოლის პატრიოტებზე უნდა მოუთხრობდეს მკითხველებს სპორტული გაზეთი. რაც შეეხება ავსტრიის ტანვარჯიშის კავშირში მჭიდროდ მოკალათებულ ნაცისტებს, მათი მოღვაწეობა იწვევს მხოლოდ ზიზღსა და აღშფოთებას ყველა პატიოსან ავსტრიელში. დროა ერთხელ და სამუდამოდ აღიკვეთოს „სახიფათო სპორტი", რომელიც შეუთავსებელია ავსტრიის მთავრობის მიერ გატარებული ნეიტრალური პოლიტიკის მიმართ.

ა. გურკოვი,
აპნ-ის სპორტული კომენტატორი.

# სანტიაგოდან ლონდონამდე

### 4. „აღმოსავლეთ ევროპის ტრიუმფი“

ასე დაახასიათეს აღმოსავლეთ ევროპის გუნდების წარმატება მიმომხილველებმა მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ. ჩეხებმა და იუგოსლაველებმა დაიკავეს ის ადგილი ფეხბურთის სამყაროში, რაც აქამდე შვედებსა და ფრანგებს ეკავათ.

რომ მოპოვება უფრო ძნელია, ვიდრე შენარჩუნება, ეს დღეისათვის ნათელია ჩეხების მწვრთნელის რ. ვიტლაჩილისათვის. ამასთან ერთად მისი მოთამაშეები საკმაოდ ხანდაზმულნი არიან: ვინ შეცვლის ისეთ ვეტერანებს, როგორებიც არიან შროიფი, პოპლუხარი, ნოვაკი, პლუსკალი, მასოპუსტი, კადრაბა? მწვრთნელმა ფაქტიურად თავიდან უნდა შექმნას გუნდი. მართალია მას ჯერ არ დაუწყია ეს ოპერაცია, ვინაიდან ვეტერანები თავს საუცხოოდ გრძნობენ, მაგრამ ყველასათვის ცხადია, ისინი ვერ მიაღწევენ ლონდონამდე. ყოველივე ამის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩეხებს ინგლისში ძალზე გაუჭირდებათ ვერცხლის მედლების შენარჩუნება. პირველი საამისო სიმპტომი იყო დამარცხება ევროპის თასის გათამაშებაში გფრ-ს გუნდთან.

შედარებით უფრო ახალგაზრდული შემადგენლობა ჰყავთ იუგოსლაველებს. მიუხედავად ამისა, მწვრთნელები ლოვრიჩი და ჩირიჩი ხშირად აწარმოებენ ექსპერიმენტებს, განსაკუთრებით თავდასხმაში. მაღალ შეფასებას აძლევენ თავდამსხმელებს სამარჯიჩს, ზამბატასა და ჩებინაცს, რომლებიც დროდადრო ნაკრებში თამაშობენ. რა თქმა უნდა, გუნდის ხელმძღვანელები იმედს ამყარებენ ისეთ ცნობილ მოთამაშეებზე, როგორნიც არიან გალიჩი, ერკოვიჩი და სკობლარი. რაც შეეხება დაცვასა და მეკარე შოშკიჩს, ისინი ძველებურად საიმედოდ იბრძვიან. შეკულარაცი იხდის თავის „18-თვიან სასჯელს“. იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციამ მიიღო დადგენილება ამიერიდან მკაცრად ებრძოლოს წამყვანი მოთამაშეებისა და მწვრთნელების წასვლას საზღვარგარეთ. უცხოეთში წასვლის უფლება აქვთ მხოლოდ იმ მოთამაშეებს, რომელთა ასაკი გადასცდა 30 წელს. რომ ასეთი ღონისძიება მხოლოდ ნაწილობრივ ამუხრუჭებს „ემიგრაციას“, ჩანს იქიდან, რომ იუგოსლავიის უძლიერესი ცენტრფორვარდი მილუტინოვიჩი ზუსტად ამდენი ხნისაა, მაგრამ ბრწყინვალე ოსტატობით თამაშობს პარიზის „რესინგში“.

საუკეთესო პერსპექტივები აქვს უნგრეთის ნაკრებს. აქამდე უნგრელებს აღარდებდათ „დიდი გუნდის“ უკანასკნელი „მოჰიკანის“, ცნობილი მარჯვენა გარემარბის შანდორის შემცვლელის საკითხი. მაგრამ შარშანდელი სეზონის დასასრულს საყოველთაო ყურადღება მიიპყრო 18 წლის ბენემ, რომელიც ახლა უნგრეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუცხოო სნაიპერია. ბენეს დიდი სისწრაფე და შეღევიანობა უფლებას აძლევს ნაკრების ხელმძღვანელობას მასში მომავალი ბრწყინვალე ოსტატი დაინახოს. კარგად თამაშობენ აგრეთვე ახალგაზრდები მეკარე სენტმიჰაი, მცველი შოვარი, თავდამსხმელები კუხარსკი, რაკოში და მონოშტორი.

და მაინც, უნგრეთის ნაკრების ახალი ხელმძღვანელობა (ბაროტი, შებეში, ლაკატი) მთავარ იმედს ნაკრების ნაცად კადრებზე ამყარებს. ესენია გერეში, ალბერტი, ტიხი და სხვანი.

★

**საფეხბურთო მიმოხილვა**

★

### 5. „დანარჩენი მსოფლიო“ ილვიძებს

ფეხბურთის სამყაროს „რუკას“ ნაკლები რამ აქვს საერთო მსოფლიოს პოლიტიკურ რუკასთან. საკმარისია ითქვას, რომ მასზე საერთოდ არ აღინიშნებიან ისეთი დიდი ქვეყნები, როგორც აშშ, ინდოეთი, და ჩინეთია. ამასთან, ფეხბურთის რუკაზე აქამდე მხოლოდ ორი კონტინენტი იყო — ევროპა და ამერიკა, უფრო სწორად, სამხრეთ ამერიკა, მაგრამ ფეხბურთი თანდათან სხვა კონტინენტებზეც გახდა პოპულარული. მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატი პირველი იქნება ფეხბურთის ისტორიაში, სადაც თავისი სიტყვა ამ ე. წ. „დანარჩენმა მსოფლიომაც“ უნდა თქვას.

ცნობილია, თუ რა როლს ასრულებენ ევროპის ზოგიერთი ქვეყნის გუნდებში ზანგი მოთამაშეები. ახლა აფრიკის რამდენიმე სახელმწიფო აპირებს ჯერ თავისი კონტინენტის პირველობის ჩატარებას, შემდეგ კი მსოფლიო ჩემპიონატისათვის მზადებასაც. განის ნაკრებს, მაგალითად, წვრთნიან პოპულარული უნგრელი ფეხბურთელები ბუდაი და ზაქარიაში, მრავალი ევროპელი სპეციალისტი მუშაობს აფრიკის სხვადასხვა გუნდებთანაც.

მაროკოს ნაკრებმა უკვე მოიპოვა რამდენიმე გამარჯვება ევროპის სხვადასხვა გუნდებთან შეხვედრებში, ახლახან ჩამოყალიბდა ალჟირის ნაკრებიც. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ამჟამად საფრანგეთში 17 ალჟირელი თამაშობს პროფესიონალურ გუნდებში, შეიძლება ვიმსჯელოთ ამ გუნდის ძალაზე. გარკვეული პრესტიჟი მოიპოვა ფეხბურთის სამყაროში არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ნაკრებმაც. სწორედ მან მოიპოვა სენსაციური გამარჯვება ავსტრიის გუნდთან, რომელიც 1961 წლის სეზონის შედეგებით პირველ ადგილზე იყო ევროპაში.

მრავალი წლის განმავლობაში აფრიკელი ფეხბურთელები ევროპელთა მოწაფეები იყვნენ. საქმეს არ ცვლის ის ამბავი, რომ ხშირად მოწაფეები ბრწყინვალედ თამაშობდნენ ევროპის პროფესიულ კლუბებში. ლონდონში კი მოწაფეები შეიძლება მეტოქეებიც გახდნენ.

ისრაელში განზრახულია მსოფლიო ჩემპიონატის სამივე პრიზიორის — ბრაზილიელების, ჩეხებისა და ჩილელთა მიწვევა. ოლიმპიური თამაშების მასპინძლებმა — იაპონელებმაც გადაწყვიტეს ამ შეჯიბრებისათვის მზადება მსოფლიო ჩემპიონატს შეუფარდონ. იაპონელებმა ხანგრძლივად იმოგზაურეს ევროპაში, თავისთან მიიწვიეს შვეციის ოლიმპიური ნაკრები და მოსკოვის „დინამო“. მასპინძლებმა ამ გამობრძმედილ კოლექტივებს დაძაბული ბრძოლა გაუმართეს.

აზიის ქვეყნებს შორის ინდონეზიის ნაკრებს ერთ-ერთი უპირველესი ადგილი უკავია. ინდონეზიელები თავიანთ მოედნებზე ხშირად ეთამაშებიან ევროპის ცნობილ გუნდებს და სხვათაშორის, დამარცხებული ჰყავთ შვეციის ოლიმპიური ნაკრებიც.

ფეხბურთის „გეოგრაფია“ გაიზარდა — აი ჩვენი მიმოხილვის დასკვნა. გაჩნდნენ ახალი გუნდები, ახალი მეტოქეები, ხოლო „ძველ სამყაროში“ შეუპოვარი ბრძოლა უნდა გაიმართოს ადგილების ხელახალი „გადანაწილებისათვის“. ყოველივე ეს დიდად საინტერესოს ხდის მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატს ლონდონში.

**გ. გამრეკელი**

## ყოველი მხრიდან

**შტუტგარტი.** აქ გაიმართა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ინგლისის მძლეოსანთა ამხანაგური შეხვედრა. ვაჟთა შორის უძლიერესი იყო გფრ-ს გუნდი — 92 : 58. ქალთა შორისაც გამარჯვება დარჩათ გერმანელებს — 64 : 42.

**ტოკიო.** იაპონიაში სტუმრად იმყოფება პოლონეთის მოკრივეთა ნაკრები გუნდი. ამ დღეებში პოლონელებმა დაამარცხეს იაპონელთა ეროვნული ნაკრები ანგარიშით 7 : 2.

**პარიზი.** საფრანგეთის ავტომობილისტებმა დიუვილარმა და კოლემ სხვადასხვა ტიპის მანქანებზე განავითარეს საათში საშუალოდ 142 და 159 კილომეტრი. ეს საერთაშორისო კლასის შედეგებია.

**პრაღა.** ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მაგიდის ჩოგბურთელებმა დაამარცხეს ჩეხები ანგარიშით 5:1.

**პარიზი.** ადგილობრივი და ბუდაპეშტის ფრენბურთელთა ნაკრები გუნდების შეხვედრაში გაიმარჯვეს სტუმრებმა — 3:1.

**ბელგრადი.** იუგოსლავიის კრივის ფედერაციამ დაამტკიცა ეროვნული ნაკრები გუნდის სია, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ევროპის ჩემპიონატში. გუნდში შევიდნენ პაიკოვიჩი, მირკოვიჩი, კოლაროვიჩი, დამიანოვიჩი, რანკოვიჩი, მიტროვიჩი, ბენცუნი, ბენედეკი, ხრიბარი, მეხოვიჩი, ლაიკო, ტამაში, ნოვაკოვიჩი, დოშენი, ვრანევიჩი, იაკოვლევიჩი, მილოვოიევიჩი, სტანკევიჩი, სტრეტენოვიჩი, ტრიბუნოვიჩი.

## პირველი მერცხლები

უკანასკნელ დრომდე იტალიაში არ იყო მსაჯი ქალი სპორტის არც ერთ სახეობაში. ამას წინათ კი ეს წოდება მიიღო 17 წლის სტუდენტმა სილვანა ბერტელმა. მან მამაკაცთა სერიოზული პროტესტის მიუხედავად ბრწყინვალედ ჩაატარა გამოცდები მსაჯის წოდებაზე კალათბურთში. დიდი წინააღმდეგობის შემდეგ იტალიის კალათბურთის ფედერაციამ სილვანას მისცა მსაჯის მოწმობა.

ბერტელი სულ მალე შევსებას მიიღებს. პარმის უნივერსიტეტის კიდევ ორი სტუდენტი ქალი ლ. ბარტოლოცი და მ. გრანდი აპირებენ გამოცდის ჩაბარებას კალათბურთის მსაჯის წოდებაზე.

---

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო“ № 68, 69, 70.

## ოთხი კლუბის გასტროლები

უკანასკნელი საყურადღებო მატჩი, რომელიც ბრაზილიაში გაიმართა, იყო „სანტოსისა“ და „ფლამენგოს“ შეხვედრა ტრადიციულ შეჯიბრებაზე, რომელშიც ოთხ-ოთხი გუნდი მონაწილეობს გუანაბარასა და სან-პაულუს შტატებიდან. ეს ბრაზილიაში მეტად პოპულარულ ტურნირად ითვლება. „სანტოსისა“ და „ფლამენგოს“ შეხვედრამ გადაწყვიტა პირველი ადგილის ბედი. „ფლამენგომ“, რომელსაც ამჟამად თავის შტატში მეორე ადგილი უკავია „ბოტაფოგოს“ შემდეგ, ვერ გაუწია მეტოქეს სერიოზული წინააღმდეგობა და დამარცხდა ანგარიშით 0:3.

როგორც რიო-დე-ჟანეიროში გამოცხადდა, წელს ევროპაში იმოგზაურებს ორ-ორი წამყვანი გუნდი გუანაბარასა და სან-პაულუს შტატებიდან. ესენი არიან „ბოტაფოგო“, „ფლამენგო“, „სანტოსი“ და „კორინტიასი“. გუნდები ითამაშებენ ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში.

## მკაცრი წესები

გერმანული ჟურნალი „ცეიტ იმ ბილდი“ იუწყება: „იტალიური პროფესიონალური ფეხბურთის კლუბებში მეფობს მკაცრი წესები. ავტომობილით მგზავრობა ყველა დღეებში, გარდა ორშაბათისა, მკაცრად აკრძალულია. აღნიშნული წესის დარღვევისათვის დაწესებულია ფულადი ჯარიმა. ის, ვინც საპატიო მიზეზითაც კი არ გამოცხადდება სავარჯიშოდ, იხდის ფულად ჯარიმას. ვინც არ დაწვება დასაძინებლად საღამოს 10 საათზე, — ფულადი ჯარიმაა. ოჯახის მონახულებისათვის თუ ფეხბურთელს არა აქვს სპეციალური შვებულება, ასევე იხდის ფულად ჯარიმას. ხოლო ვინც შეეცდება წინ აღუდგეს ასეთ წესებს და პროტესტს განაცხადებს კლუბების ხელმძღვანელთა ასეთ დიქტატორულ ზომებზე, იგი გაყიდული იქნება. საერთოდ, ეს მონობის საინტერესო და თავისებური გამოვლინებებია XX საუკუნეში“.



სიხარულის ათასგვარი გამოხატვა არსებობს. თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდის წევრმა ვ. უგრეხელიძემ თავისი გრძნობის გამოსახატავად ახალი ფორმა მოძებნა. გამარჯვების სიხარული იმდენად დიდი და განუსაზღვრელი იყო, რომ ვ. უგრეხელიძე ვერ მოსცილდა კალათს და ერთხანს მასზე იყო ჩამოკიდებული.

ფოტო ამოღებულია იტალიური გაზეთიდან „უნიტადან“. იგი ასახავს თბილისის „დინამოსა“ და იტალიის ჩემპიონის „სიმენტალის“ თამაშის უკანასკნელ ეპიზოდს მილანის სპორტის სასახლეში.

**რედაქტორი ი. უზულავა.**

ЛЕЛО
ИНДЕКС 66448

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნის და განყოფილებების — 3-35-09, გამომცემლის — 3-01-06.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 05900